ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ილია II-ის
აღსაყდრებიდან 30 და დაბადებიდან 75 წლისთავს

ბოლნისის სიონი
დავით ეპისკოპოსის წარწერა. V ს.

მიხეილ ქურდიანი

ქართული ენა
და
დამწერლობა

თბილისი, საქართველო 2008



ლაბსყალდის ოთხთავი. ხელნაწერის გვერდი
XII-XIII ს.ს.



ართული ენის სტატუსი. ქართული ენა ქართველი ერის, ყოველთა ქართველთა ეროვნული ენა – **საქართველოს სახელმწიფო ენაა.**

საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსი ქართულ ენას მიენიჭა ჯერ კიდევ ელინისტურ ეპოქაში, ძვ. წ. 284 წელს, როდესაც ეროვნული მატიანის "ქართლის ცხოვრების" თანახმად, პირველი სრულიად ქართული სახელმწიფოს მეფეთმეფე ფარნავაზმა "განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა". ეს თარიღი, როგორც უმნიშვნელოვანესი ისტორიული ნიშანსვეტი, დაედო საფუძვლად ქართულ ეროვნულ წელთაღრიცხვას.

ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი მინიჭებული ჰქონდა და აქვს საქართველოს აბსოლუტურად ყველა კონსტიტუციით: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით (1921 წლის 21 თებერვალი, მუხლი 3), საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციებით (1922 წლის 25 თებერვალი, მუხლი 6; 1926 წლის 5 ივლისი, მუხლი 10; 1937 წლის 13 მარტი, მუხლი 156; 1978 წლის 15 აპრილი, მუხლი 75), საქართველოს მოქმედი კონსტიტუციით (1995 წლის 24 აგვისტო, მუხლი 8).

სრულიად ქართული სახელმწიფოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დანაწევრების პერიოდებში, უგამონაკლისოდ ყველა ამ პოლიტიკურ ერთეულში ქართული ინარჩუნებდა სახელმწიფო ენის სტატუსს და, ამდენად, ქართული ენის ოფიციალური ფუნქციონირების არეალის საზღვრები ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებად აღიქმებოდა; მაგალითად: "ივერიელთა ერთობის ტრახტატი", ხელმოწერილი 1790 წელს ქართველთა მეფე-მთავრების მიერ, თავის პრეამბულაში გვამცნობს "ერთობის" საფუძველს: "ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და **ერთისა ენისა მქონებელნი** (ხაზგასმა ჩემია მ.ქ.), აქვსთ მავასხებლობითიცა სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის."

მეფეთმეფე ფარნავაზის მიერ ძვ.წ. 284 წელს სახელმწიფო ენად გამოცხადებული ქართული – გახდა საელმწიფო ენა არა მხოლოდ ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ანუ

სამეფო კანცელარიის ენა, არამედ ის აღიჭურვა პოლივალენტური ფუნქციით და გახდა განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის, კულტურისა და რელიგიის ერთადერთი ენა ქართულ სახელმწიფოში და ასეა დღემდე.

ფარნავაზმა თავის ტომმრავალ სახელმწიფოში შემოიღო ერთიანი პოლითეისტური პანთეონი და დააკანონა ერთენოვანი ღვთისმსახურება: "არამც თუ საზოგადოდ ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვის საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ წარმართობის საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონდა." (ივანე ჯავახიშვილი)

საქართველოში სადაც, ბიზანტიური წყაროების თანახმად, პირველ საუკუნეში ქრისტიანობა იქადაგეს მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა, მატათამ, თადეოზმა და ბართლომემ, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 326 წელს გამოცხადდა, წმინდა მეფე მირიანის (სასანიდთა დინასტიიდან) ზეობისას, ანუ დაარსდა საქართველოს სამოციქულო ეკლესია (გურამ ნარსიძე), რომლის ღვთისმსახურების ენა იმთავითვე ქართული იყო.

ქართული ენა – **საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური ენაა.**

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ქართული სახელმწიფოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დანაწევრების პერიოდებში უგამონაკლისოდ ყველა ამ პოლიტიკურ ერთეულის ტერიტორია რჩებოდა ერთი – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში და რამდენადაც IV მსოფლიო საეკლესიო კრების კანონის თანახმად ადგილობრივი ეკლესიის საზღვრები სახელმწიფო საზღვრებს უნდა დამთხვეოდა, ქართულენოვანი ლიტურგიის ფუნქციონირების არეალის, ანუ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებიც ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებად აღიქმებოდა "...ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების..." (გიორგი მერჩულე, 951 წ.). ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართულენოვანი ღვთისმსახურების, ქართული ენისა და დამწერლობის ფართოდ გავრცელების თვალსაზრისით საქართველოს ეკლესიის იურისდიქციასა და ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში შედიოდა ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური და აღმოსავლეთი რეგიონების მნიშვნელოვანი ნაწილი (გივი ღამბაშიძე), მათ შორის სარირის (ხუნძთა ანუ ავართა) სამეფო (V–XIII ს.), რომლის მმართველი დინასტია სპარსული წარმოშობის ქართველ სასანიდთა სამეფო სახლს ეკუთვნოდა და რომლის ტერიტორიაზეც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა, მეტიც, XIV საუკუნეშიც კი, მონღოლთა უღლისაგან კავკასიის თავდახსნის შემდეგაც მთიან დაღესტანში საქართველოს ეკლესიის 3 საეპისკოპოსოა ცნობილი: ხუნძახის, ანწუხის, წახურის, ხოლო XV საუკუნეში საქართველოს ეკლესიას ხუნძეთში სულაც საკათალიკოსო აქვს დაარსებული (ეს მისი მესამე საკათალიკოსოა, პირველი აღმოსავლეთ საქართველოში ჰქონდა, მეორე – დასავლეთ საქართველოში ანუ აფხაზეთში, ესეც XV საუკუნიდან) და სამღვდელმთავრო ტახტზე ხუნძელი კათალიკოსი, სახელად ოქროპირი უზის. სხვადასხვა დროს საქართველოს ეკლე-

სიის ეპარქიები ფუნქციონირებდა ძურძუკეთშიც (ჩეჩნეთ-ინგუშეთი) და სხვ..

ქართული ენის გავრცელების გეოგრაფიული არეალი. ქართული ენის გავრცელების გეოგრაფიული არეალი ძირითადად მოიცავს სამხრეთ კავკასიაში სრულიად ქართული სახელმწიფოს ისტორიულ ტერიტორიას, რომლის მკვიდრი ქართველური ტომები მის ავტოქტონებს წარმოადგენენ. ეს არის: ა) ამჟამინდელი საქართველოს სახელმწიფო; ბ) ტაოკლარჯეთი (ამჟამად თურქეთის შემადგენლობაშია); გ) საინგილო (ამჟამად აზერბაიჯანის შემადგენლობაშია) და სხვ. ისტორიული საქართველოს საზღვრებს გარეთ ქართულენოვანი ტომი კომპაქტურად ცხოვრობს ირანში (პროვინცია ფერეიდანი).

ელინისტური ხანიდან მოყოლებული თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე, ვიდრე მას რუსული არ ჩაენაცვლა, ქართული ენა იყო ერთაშორისი ურთიერთობის ენა (Lingua Franca) მთელ კავკასიაში:. ,,ქართული დღევანდლამდე ტომობრივი კი არა, არამედ ეროვნული ენაა... ქართული საზოგადოდ კავკასიის საზოგადოებრიობის ენაა.“ (ნიკო მარი)

ქართულ ენაზე მეტყველთა საერთო რაოდენობა. საქართველოს მისახლეობა 2002 წლის აღწერის მიხედვით 4 371 535 კაცს შეადგენს, რომელთაგან ქართულ ენაზე მეტყველებს 3 898 128 კაცი, ანუ ქვეყნის მოსახლეობის 84,1% (მათგან 3 661 173 კაცი, ანუ ქვეყნის მოსახლეობის 83,7% ეროვნებით ქართველია). ქართულ ენაზე მეტყველთა საერთო რაოდენობა საქართველოს საზღვრებს გარეთ დაბეჯითებით ცნობილი არ არის.

ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა შორის. ქართული ენის წარმოშობისა და მისი ადგილის შესახებ ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციაში როგორც ევროპელ, ასევე ქართველ ენათმეცნიერთა შორის დიდხანს არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა. ამჟამად ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით დადგენილია, რომ ქართული ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ბასკურ-ქართველურ ენათა ჯგუფს:

იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეალოგიური ხე



მცხეთა. წმ. ჯვრის ტაძარი. ქრისტეს წინაშე მუხლმოდრეკილი სტეფანოზ პატრიკიოსის წარწერა VI-VII ს.ს. მიჯნა

და ახლომონათესავე სვანურ და ზანურ (resp. მეგრულ-ლაზურ) ენებთან ერთად ქმნის ქართველურ ენათა ქვეჯგუფს:

ქართველურ ენათა გენეალოგიური ხე



ქართული ენის აბსოლუტური ქრონოლოგია. ქართული ენა ცოცხალ ენათა შორის ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, ამ სიტყვის პირდაპირი და არა მეტაფორული გაგებით: საერთო-ქართველური ფუძე-ენა თანაარსებობდა სივრცესა და დროში საერთო-ინდო-ევროპულ და საერთო-სემიტურ ფუძე-ენებთან, რაზედაც ცალსახად მეტყველებს ენობრივი კონტაქტების შედეგად ურთიერთნასესხობათა პოვნიერება ფუძე-ენათა ქრონოლოგიურ დონეზე; საერთო-ქართველური ფუძე-ენის ისტორიულად დადასტურებულ ენებად დიფერენციაციის, უფრო ზუსტად, საერთო-ქართველური ფუძე-ენიდან ქართული ენის გამოყოფის თარიღად, ენობრივი მონაცემების, მათ შორის ენობრივი კონტაქტების კვალის, მიხედვით, ძვ. წ. V-IV ათასწლეულების მიჯნა უნდა იქნეს მიღებული. ამ პერიოდიდან იწყება საკუთრივ ქართული ენის დამოუკიდებელი ისტორია. ქართული ენის განსაკუთრებულ სიძველეზე მეტყველებს ენობრივი კონტაქტების მრავალრიცხოვანი ფაქტები; მაგალითად: საკუთრივ ქართული ენიდან ნასესხები ლექსიკა საერთო-არიულ (resp. საერთო-ინდო-ირანულ) ფუძე-ენაში, მაგალითად: **კაც**-ი „ადამიანი“ და სხვ.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორია. ქართული სალიტერატურო (resp. სახელმწიფო) ენის შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესი უშუალოდ უკავშირდება მეფეთმეფე ფარნავაზის მიერ სრულიად ქართული სახელმწიფოს ფორმირების ეპოქას. ქართული სალიტერატურო ენის საფუძველი გახდა ქართული ზედიალექტური კოინე – დედაქალაქის მეტყველება. სრულიად საქართველოს პირველი დედაქალაქი – მცხეთა – თავისი მდებარეობის სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, ჯერ კიდევ ფარნავაზის მიერ ცალკეულ ქართულ სამეფოთა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებამდე, კავკასიის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა, ის აკონტროლებდა სამხრეთ კავკასიაში გამავალ საქარავნო გზათა უმრავლესობას, მათ შორის ე.წ. „დიდი აბრეშუმის გზას“, რომლის ფუნქ-

ციონირებაც, როგორც სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალისა, არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში უნდა დაწყებულიყო; აკონტროლებდა აგრეთვე, ზაფხულისა და ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გადასარეკ ტრასებს, რასაც კავკასიის ეკონომიკისთვის ტრადიციულად ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა და ა.შ. ამ მიზეზთა გამო ხალხმრავალ ანტიკურ და ელინისტურ მცხეთაში ქართველებთან ერთად რამდენიმე ანგარიშგასაწევი დიასპორა ბინადრობდა: ებრაელთა, სპარსთა, ბერძენთა, სომეხთა და სხვ. მცხეთაში ისინი კომპაქტურად, უბნებად იყვნენ დასახლებულნი. მცხეთელი ქართველები, და ეს ბუნებრივია დედაქალაქისთვის, სხვადასხვა ქართული ტომების კონგლომერატს წარმოადგენდნენ, და მცხეთის მეტყველებაც, აქედან გამომდინარე, ერთ რომელიმე, მათ შორის არც ადგილობრივ დიალექტს არ ემთხვეოდა არც ფონეტიკური შედგენილობისა თუ პროცესების, და არც ლექსიკის თვალსაზრისით. მასში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ის ბგერები, ფონეტიკური პროცესები და ლექსიკა, რაც საერთო იყო ყველა იმჟამინდელი ქართული დიალექტისთვის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დედაქალაქის მეტყველებაში ცალკეულ დიალექტთა სპეციფიკა ნიველირებული იყო, ანუ მცხეთის მეტყველება ზედიალექტურ თუ ინტერდიალექტურ კოინეს წარმოადგენდა.

მაგრამ თუნდაც ზედიალექტური კოინე, როგორი მდიდარი ლექსიკაც არ უნდა ჰქონდეს მას, ვერ იტვირთავს სახელმწიფო ენის ფუნქციებს, რადგან მასში არ მოიპოვება საკმარისი ტერმინოლოგიური ბაზა, სახელმწიფოს ფუნქციონირების საკანცელარიო-ადმინისტრაციული, დიპლომატიური, სამხედრო, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა სფეროთათვის. მართალია ქართულ ენაში მოიპოვებოდა სოციალურ სტრუქტურათა თუ დასახლებათა ტიპების აღმნიშვნელი არაერთი ტერმინი ნამემკვიდრევი ჯერ კიდევ საერთო-ქართველური ფუძე-ენიდან, მაგალითად: **მეფე** „სუვერენი“; **მწერელი** „კლერკი“; **მეზვერე** „მებაჟე“; **მძღოლი** „ბელადი“; **ციხე** „ციტადელი“; **ყარსი** „ციხე-ქალაქი“ და ა.შ. მაგრამ ტერმინთა ეს ბაზა პრინციპული ხასიათის შევსებასა და გადახალისებას მოითხოვდა თვისობრივად განსხვავებული ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად. ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას წინ უძღოდა მისი ტერმინოლოგიური უზრუნველყოფის ინტენსიური პროცესი, რომელიც მისი ფუნქციონირების ყველა ეტაპზე თანსდევდა მას და დღემდე გრძელდება. მეფეთმეფე ფარნავაზის მიერ ორგანიზებული ეს ტერმინოლოგიური მუშაობა, რაც ტერმინთქმნადობისა და ქართული ენა-კილოების დარგობრივი ლექსიკით ტერმინოლოგიის შევსების პარალელურად, ძირითადად გამოიხატებოდა ტერმინთა სესხებაში სხვადასხვა ენიდან, როგორც ჩანს, ეს პროცესი იმდენად ინტენსიურად მიმდინარეობდა, რომ მომდევნო დროის ქართველი თუ უცხოელი მემატიანეები მას ახასიათებენ, როგორც სხვადასხვა ენებიდან ქართული ენის შექმნას, მაგ.: „...პირველი ქართველი მეფე ფარნავაზი, რომელმაც ექვსი ენიდან შექმნა ქართული...“ (მხითარ აირივანეცი)

ქართული სალიტერატურო ენა, რომ მართლაც მეფე ფარნავაზის ზეობისას ანუ ელინისტურ ხანაში ყალიბდებოდა, ამისი საუკეთესო დასტურია თუნდაც ძველი სპარსულიდან ნასესხები ქართული ადმინისტრაციული და სამხედრო ტერმინოლოგია, რომელთა ფონეტიკური იერსახე, გამორიცხავს მათ სესხებას პოსტაქემენიდურ ეპოქაში, მაგ.: **პიტიახშ**-ი „მმართველი“, „ერისთავი“ (საშუალი სპარსულიდან, ანუ სასანიდების ეპოქის სპარსულიდან

სესხებისას იქმნებოდა: **ბიდიახშ**-ი. შდრ. სომხური **ბდეშხ** „id.“); **სარდალ**-ი „მეთაური“, „ბელადი“ (საშუალი სპარსულიდან სესხებისას იქმნებოდა: **სალარ**-ი, რომელიც გვაქვს კიდეც ტერმინებში – **სპასალარ**-ი და სხვ. აგრეთვე გვარსახელებში – **სალარიძე**, **სარალიძე** < **სალარიძე**. შდრ. სომხური **სალარ** „id.“) და სხვ.

ტერმინოლოგიურ მუშაობასთან ერთად მიმდინარეობდა სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პროცესი. დადგენილი სალიტერატურო ნორმები მკაცრად იყო დაცული. მეფე ფარნავაზის ეპოქაში ჩამოყალიბებული ნორმების მნიშვნელოვანმა ნაწილმა დღემდე მოაღწია, მაგალითად, ბარის დიალექტების წარმომადგნელების ზეპირმეტყველებაში აუსლაუტში მჟღერ ხშულთა დაყრუებას (კარგად > კარგათ; მოწმობ > მოწმოფ; და ა.შ.), ზოგიერთი ენობრივი ფაქტიდან გამომდინარე, სულ მცირე ორი ათას წლიანი ისტორია აქვს ანუ საქართველოში მოციქულთა მიერ ქრისტიანობის ქადაგების დროისთვის ეს ფონეტიკური პროცესი ენაში უკვე დაწყებული იყო, მაგრამ მეფე ფარნავაზის დროს დადგენილ ნორმათა დაცვა იმდენად სავალდებულოდ იყო მიჩნეული, რომ ლიტერატურულ ძეგლებში ის ფაქტობრივად არ ასახულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე უნებლიე შეცდომას ფიქსირებულს IX საუკუნის მომდევნო ხელნაწერებში. ქართულ ახალ სალიტერატურო ენაშიც იგივე, ფარნავაზის დროინდელი, ნორმა მოქმედებს და ზეპირმეტყველებისას აუსლაუტში მჟღერ ხშულთა დაყრუება წერისას დღესაც არ აისახება და თავს ისევ შეცდომების სახით ავლენს.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების ქრისტიანობამდელ ეპოქაში დადგენისა და შემდგომ მათი დაცვის სავალდებულობის უეჭველი საბუთია უძველესი (IV-VII საუკუნეების) ქართული ქრისტიანული წარწერები და ხელნაწერები ე.წ. ხანმეტი ტექსტების კორპუსი. ტერმინი **ხანმეტი**, დაფიქსირებული XI საუკუნეში, ცხადყოფს, რომ იმ დროისათვის უკვე გაუგებარი და აუხსნელი იყო ძველ ქართულ ხელნაწერებში ბგერა **ხ**-ს („ხან“-ის) პოვნიერება II სუბიექტური (მაგალითად: **ხ**-არ შენ) და III ობიექტური (მაგალითად: **ხ**-ერთვი-ს ის მას) პირების ნიშნად და ზედმეტობად მიიჩნეოდა. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სპეციალისტების მიერ დადგენილი ფაქტი, რომ თვით ადრექრისტიანული დროისათვის (IV-V საუკუნეები) ხანმეტობა იყო მკვდარი ლიტერატურული ნორმა, რომლის დაცვაც სავალდებულოდ იყო მიჩნეული, მაგრამ რომლის დაცვის მცდელობებისას დაშვებული შეცდომები ცალსახად ცხადყოფენ ამ ნორმის ანაქრონიულობას (ა. არაბული) და სხვ..

არის სხვა, დამატებითი არგუმენტებიც, მაგალითად ქართული ენის ფონემატური სისტემის უპრეცედენტო კონსერვატიზმი: „...ფონემატური სისტემა, სახელდობრ კონსონანტიზმი, ყველაზე უკეთ შენახულა ქართულში, ალბათ იმიტომ, რომ ქართული სამწერლო ენაა (და, საფიქრებელია, არა მხოლოდ მეხუთე საუკუნიდან, რომელსაც ძველი დოკუმენტაცია ეკუთვნის: ქართული სამწერლო ენა წარმართობის ეპოქაში შექმნილი ჩანს, როგორც ამას სამართლიანად ვარაუდობს რიგი ავტორი).“ (არნოლდ ჩიქობავა)

ქართული ენა ერთადერთია იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის, რომლის უწყვეტად ფიქსირებული ისტორია ცნობილია IV საუკუნიდან, ზოგიერთი თვალსაზრისით – ფრაგმენტულად I საუკუნიდანაც კი (შედარებისთვის: კავკასიის ალბანელთა ენის ფიქსირებული

გელათის ოთხთავი
ხელნაწერი. XII ს.

ისტორია ცნობილია მხოლოდ V-X საუკუნეების ძეგლებით, ბასკური ენისა კი მხოლოდ XVI საუკუნიდან, მთის კავკასიურ ენათაგან 14-ს მწერლობა მოეპოვება XX საუკუნიდან), ამდენად ქართული ენის ჩვენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქართველური, ასევე ზოგადად იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიის არაერთი საკითხის გარკვევისთვის.

ქართული ენის ფიქსირებული ისტორიის პერიოდიზაციაზე არის აზრთა სხვადასხვაობა, მასში გამოყოფენ პერიოდებს: ორს – ძველი (V-XI ს.) და ახალი (XII საუკუნიდან დღემდე) ქართული – არნოლდ ჩიქობავა; სამს – ძველი (V-XI ს.), საშუალი (XII-XVIII ს.) და ახალი (XIX საუკუნიდან დღემდე) – აკაკი შანიძე; ხუთს – პირველი (V-XI/XII ს.), მეორე (XI/XII-XVII/XVIII ს.), მესამე (XVIII-XIX ს. მეორე ნახევრამდე), მეოთხე (XIX ს. 60-იანი წლებიდან-XX ს. დასაწყისამდე), მეხუთე (XX ს. 10-იანი წლებიდან-დღემდე) – ბესარიონ ჯორბენაძე; არსებობს აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეთა შორის პოპულარული, მოსაზრება, რომლის თანახმადაც ქართული ენის ისტორიის პერიოდიზაცია ენათმეცნიერთა მიერ ხელოვნურად გამოყოფილი ქრონოლოგიური მიჯნებია და, რომ სინამდვილეში ქართული სალიტერატურო ენა არის ერთი – „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“ – რევაზ თვარაძე.

აზრთა ამ სხვადასხვაობის მთავარი მიზეზი არის არა იმდენად პერიოდიზაციის საფუძვლად აღებული თვალსაზრისების სხვაობა, რამდენადაც ქართული სალიტერატურო ენის უპრეცედენტო კონსერვატულობა, ძველი ქართული და ახალი ქართული არ წარმოადგენენ ორ სხვადასხვა ენას, როგორც მაგ. ძველი ბერძნული და ახალი ბერძნული, ლათინური და იტალიური ან ძველი სომხური (გრაბარი) და ახალი სომხური (აშხარაბარი) და სხვ. **ქართული სალიტერატურო ენა ერთი ენაა:** „საუკუნეთა მანძილზე ძველი ქართული ახალი ქართულით შეიცვალა: ცვლა დაეტყო ლექსიკასა და და გრამატიკას, მაგრამ ეს ცვლილება, მეტადრე გრამატიკული სისტემისა, მოსალოდნელზე მცირეა: არა თუ ვეფხისტყაოსანი, არამედ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და „შუშანიკის წამება“ (XI ს. ტექსტი) თითქმის სრულად გასაგებია ახლანდელი კულტურული მკითხველისათვის.“ (არნ. ჩიქობავა), მაგრამ პერიოდიზაცია ხომ სწორედ ერთი ენის ისტორიას სჭირდება. ორ სხვადასხვა ენის მაგ. ლათინურისა და იტალიურის ისტორიებს, ცხადია, ერთი, საერთო პერიოდიზაცია ვერ ექნება.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ცალსახა პერიოდიზაციისთვის ანგარიშგასაწევია სასულიერო და საერო მწერლობის თანაარსებობის ფაქტები, სასულიერო მწერლობა ორიენტირებული იყო და ნაწილობრივ ამჟამადაც ორიენტირებულია „ძველ ქართულზე“, საერო მწერლობა კი „ახალ ქართულზე“ და ამას, როგორც ჩანს, უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე აქამდე იყო მიღებული, მაგ. ატენის სიონის სამხრეთ აფსიდის დასავლეთ კედელზე მიგნებულ იქნა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის უკლებლივ ყველა მეცნიერული პერიოდიზაციის თანახმად ძველი ქართული ენის ფუნქციონირების კლასიკურ ეპოქად მიჩნეულ IX საუკუნეში ახალი ქართული ენით შესრულებული წარწერები, ეს არის ქართული საერო, რითმიანი პოეზიის უძველესი ნიმუშები, დათარიღებული 840-841 წლებით.



,,ვეფხისტყაოსანი''
გიორგი XI ეგზემპლარი. ხელნაწერის გვერდი. XVII ს.

ქართული დამწერლობა. სამი ქართული ანბანი (ანუ ფონოლოგიური დამწერლობა) არსებობს: ასომთავრული ანუ მრგვლოვანი (გრაფიკულად კაპიტალური), ნუსხური ანუ ხუცური (გრაფიკულად კუთხოვანი კურსივი) და მხედრული. მიუხედავად თვალსაჩინო გრაფიკული სხვაობისა, ისინი გენეტიკურად არიან ერთმანეთზე დამოკიდებული: **ასომთავრული** > **ნუსხური** > **მხედრული**, რაც დოკუმენტურადაც არის დადასტურებული და მეცნიერულადაც დამტკიცებული (ივანე ჯავახიშვილი). ისიც საბოლოოდ გარკვეულია, რომ ასომთავრული ერთჯერადი შემოქმედებითი აქტის პროდუქტია, ნუსხური (უძველესი თარიღიანი ნიმუში – 835 წ. ატენის სიონი) და მხედრული (875 წ. ატენის სიონი) კი მისი ევოლიუციის ეტაპობრივი შედეგები. ნუსხურისა და მხედრულის უძველესად მიჩნეული ნიმუშების ერთი და იმავე საუკუნის ძეგლებში ფიქსირება (შერეული ნუსხურ-მხედრული წარწერა VIII ს. დამდეგი, ატენის სიონი), არ ნიშნავს, რომ მხედრული ნუსხურის ჩამოყალიბებისთანავე წარმოიქმნა მისგან, მათ შორის ხანგრძლივი, არაერთსაუკუნოვანი შუალედია სავარაუდო, ისევე როგორც ნუსხურის ჩამოყალიბებიდან მის პირველ თარიღიან ხელნაწერამდე. ყოველ შემთხვევაში სომეხ მემატიანეს მოვსეს ხორენაცის, რომელიც თავს V საუკუნის მემატიანედ აცხადებს, თავისი „სომხეთის ისტორიის“ წერისას ხელთ ჰქონდა ნუსხურით ნაწერი რაღაც ქართული ისტორიული წყარო, რაზეც ცალსახად მეტყველებს მის მიერ ისტორიული ქართული პროვინციის **აბოც**-ის სახელწოდების არაერთგზის მოხსენიება მცდარი ფორმით: ა**შ**ოც-ი, ამგვარი შეცდომის ერთადერთი წყარო შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ნუსხური ხელნაწერი, რადგან ნუსხური ანბანის გარდა არც ერთ ცნობილ ანბანში არ არის **ბ** და **შ** ფონემების აღმნიშვნელი გრაფემების ასეთი გრაფიკული მსგავსება, თითქმის იდენტურობა (**ბ** და **შ** ფონემების აღმნიშვნელი გრაფემების აღრევის ფაქტებს ვხვდებით ნუსხურიდან მხედრულზე გადმოღებულ ხელნაწერებშიც: **ბ**ორენა > **შ**ორენა ან პირიქით არ**შ**აკ > არ**ბ**აკ და სხვ.).

ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ მეცნიერებაში არაერთი თეორია და თვალსაზრისი არსებობს, რომლებიც ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან ძირითადად ქართული ასომთავრული ანბანის პროტოტიპის, ანბანის შემქმნელის ვინაობისა და შექმნისა თუ შემოღების დროის შესახებ პოზიციის მიხედვით. ანბანური დამწერლობის შექმნა კაცობრიობის ისტორიაში მოხდა ერთხელ ძვ. წ. XIV–XIII საუკუნეებში ქანაანელების მიერ და მსოფლიოს ყველა ალფაბეტი მოდის ქანაანური (resp. ფინიკიური) ანბანიდან უშუალოდ ან რომელიმე ანბანის მეშვეობით. მორის დიუნანის სამართლიანი შენიშვნით, ანბანის გამოგონება „ეს არის მიგნება, რაც არ შეიძლება ორჯერ მოხდეს.“ ბერძნულ ტრადიციას შემონახული აქვს ანბანური დამწერლობის შემქმნელის სახელიც – **პალამედე,** ისევე როგორც სახელი **კადმოს ფინიკიელისა**, ვინც ბერძნებს გააცნო ეს ანბანი.

ქართული მატიანეები ქართული დამწერლობის შემქმნელად ერთხმად და უალტერნატივოდ ასახელებენ პირველი სრულიად ქართული სახელნწიფოს ფუძემდებელს წარმართ მეფე **ფარნავაზს**: „და ესე ფარნავაზ იყო მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული.“(„ქართლის ცხოვრება“) ამ ტრადიციული ცნობის სამართლიანობაში ქართველ ინტელექტუალებს ეჭვი არ ეპარებოდათ არც



შოთა რუსთაველის ფრესკა
იერუსალიმი. ჯვრის მონასტერი. XII ს.

XVII საუკუნეში: „ენა ქართული შესრულებული და განვრცელებული და განრკვეული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ, ბრძნისა და გონიერისა, რომელი იყო ძეთაგან ქართლოსიანთა წარმართი“. (სულხან-საბა ორბელიანი, 1658-1725); არც XVIII საუკუნეში: „ესე ფარნაოზ იყო პირველი მეფე ქართლისა, მან აღაშენა და განავსნა ქვეყანა თვისი, მოზღუდნა ქალაქნი და ციხენი, განამაგრნა და შექმნა წიგნი ქართული და განავრცელა ენა ქართული...“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1696-1757). მეტიც, ამ ტრადიციული ცნობის სისწორეში ეჭვი არც სომეხ ინტელექტუალებს ეპარებოდათ: XIII საუკუნის სომეხი მემატიანე მხითარ აირივანეცი თავის „ქრონოგრაფიულ ისტორიაში“ წერს: „პირველი ქართველი მეფე ფარნავაზი, რომელმაც ექვსი ენიდან შექმნა ქართული, მანვე [შექმნა] მათი დამწერლობა.“ მხითარ აირივანეცის ეს ცნობა უპირველეს ყოვლისა იმით არის საინტერესო და ღირებულიც კი, რომ იგი, მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისის საპირისპიროდ, არ ეყრდნობა ქართულ მატიანეებს და სხვა წყაროთი თუ ტრადიციით სარგებლობს. საქმე შემდეგშია – ქართული მატიანეები „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევა ქართლისა “ ცალსახად და უგამონაკლისოდ უკავშირებენ მეფე ფარნავაზის ზეობის წლებს ალექსანდრე მაკედონელის შემდგომ დროს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეფე ფარნავაზის ზეობა „მიბმულია“ ალექსანდრე მაკედონელზე. ეს კი ისეთი მკაფიო ორიენტირია, რომ ქართული წყაროებით სარგებლობის შემთხვევაში მეფე ფარნავაზის ეპოქის განსაზღვრისას ყოველგვარ შეცდომასა და გაუგებრობას გამორიცხავს. მხითარ აირივანეცი კი მეფე ფარნავაზის გამეფებას (რასაც სინამდვილეში ადგილი ჰქონდა ძვ. წ. 303/302 წლებში) ნაბუქოდონოსორ II-ის ზეობის წლებზე (ძვ. წ. 604-562) დებს, კერძოდ კი – ძვ. წ. 586 წელზე (მასთან ეს 4580 წელია სომხური დასაბამითგანით). ასეთი პრინციპული ხასიათის შეცდომა ფარნავაზის მეფობის დათარიღებაში მეტყველებს იმაზე, რომ სომეხმა მემატიანემ იცის მეფე ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ, მაგრამ მისი მოღვაწეობის ეპოქაზე მცდარი წარმოდგენა აქვს, რაც, როგორც ვთქვი, აბსოლუტურად გამორიცხული იქნებოდა მის მიერ ქართული წყაროებით სარგებლობისას.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით ასომთავრული დამწერლობა ქრისტიანულ ეპოქაშია შექმნილი, რამდენადაც მათი აზრით საქართველოში არ არის აღმოჩენილი არც ერთი წარწერა, რომლის დათარიღება ცალსახად ხერხდება ქრისტიანობამდელი ეპოქით. ასეთ პოზიციას, რათქმა უნდა, აქვს თავისი raison d’etre, მაგრამ, უდავო ფაქტადაც რომ ვაღიაროთ ქრისტიანობამდელი ხანის წარწერათა არარსებობა საქართველოში, არის სხვა, მისი საწინააღმდეგო და არანაკლებ ანგარიშგასაწევი, ფაქტი, რომელიც თუ არ უარყოფს, ყოველ შემთხვევაში საეჭვოდ ხდის ქართული ანბანის ქრისტიანულ ეპოქაში შექმნის ვერსიას:

ქრისტიანობის ეპოქაში შექმნილი ნებისმიერი დამწერლობის ქრისტიანი შემოქმედის სახელი კარგად არის ცნობილი: გოთური ანბანის – ვულფილა (IV ს.); სომხური „ერკათაგირის“ – მესროპ მაშტოცი და კათალიკოსი საჰაკი (V ს. ისიც კი ცნობილია, რომ მანამდე სომხური ანბანის შექმნის წარუმატებელი ცდა ჰქონდა დანიელ ასურელ ეპისკოპოსს); სლავური ანბანების: „გლაგოლიცის“ – კირილე და მეთოდე (IX ს.) და „კირილიცის“ კლიმენტ ოხრიდსკი და ბულგარეთის მეფე სიმეონი (IX ს.) და აშ. გამონაკლისია კოპტური ანბანი (II ს.), რომლის შემქმნელის ვინაობა უცნობია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ანბანი

გნოსტიკოსების წრეშია შექმნილი და არა ქრისტიანული ეკლესიის წიაღში. ქრისტიანულ ეპოქაში მანამდე ფონეტიკური დამწერლობის არმქონე ხალხისთვის ქრისტიანი მეფის თუ სასულიერო პირის ან პირების მიერ ანბანის შექმნა ადგილობრივი ეკლესიის მხრიდან აღიქმებოდა ანბანის შემქმნელებზე სულიწმინდის მადლის გარდამოსვლის დასტურად, ხოლო თვით ანბანის შექმნა ქრისტიანობის წინაშე იმდენად დიდმნიშვნელოვან ღვაწლად იყო მიჩნეული, რომ ანბანის შემქმნელთ, როგორც წესი, ოდენ ამ დამსახურებისთვის ეკლესია წმინდანებად შერაცხავდა ხოლმე. ზემოთ ჩამოთვლილი სომხური და სლავური ანბანების შემქმნელებიც ადგილობრივი ეკლესიების მიერ წმინდანებად არიან შერაცხილნი. საქართველოს ეკლესიას ანბანის შექმნის ღვაწლისათვის არც ერთი მეფე ან სასულიერო პირი არ შეურაცხავს წმინდანად, რაც სრულიად აუხსნელი იქნებოდა, ქართული ანბანის „ასომთავრულის“ შექმნა რომ ქრისტიანულ ეპოქაში და ქრისტიანის მიერ მომხდარიყო (ე. ხინთიბიძე). პირიქით, როგორც ვთქვი, ყველა ძველი ქრისტიანული წყარო და ყველა ქრისტიანი ავტორი წარმართ მეფე ფარნავაზს ერთხმად და უალტერნატივოდ აცხადებს ქართული დამწერლობის შემქმნელად.

ქართულ პალეოგრაფიასა და გრამატოლოგიაში სადავოდ არ მიიჩნევა მეფე ფარნავაზის დამსახურება ქართული დამწერლობის შექმნის საქმეში, სამაგიეროდ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად დამწერლობის რა ფორმითა ან სახეობით დაუდო ფარნავაზმა სათავე „მწიგნობრობა ქართულს“ მან შექმნა ან შემოიღო ორიგინალური ქართული ანბანი – მრგლოვანი კაპიტალური დამწერლობა თუ მწიგნობრობის შესაქმნელად მან რომელიმე, უკვე არსებული ტრადიციით ისარგებლა. მაგალითად აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის აზრით მეფეთმეფე ფარნავაზს უნდა მიეწეროს არა ქართული ასომთავრული ანბანის შექმნა, არამედ სახელმწიფო კანცელარიის საჭიროებისათვის წერის ე.წ. ალოგლოტოგრაფიული მეთოდის შემოღება, სადაც „შუამავალ ენად“ არამეული იქნებოდა გამოყენებული, ისევე, როგორც, ვთქვათ, საშუალი სპარსულისთვის, ხოლო საკუთრივ „ასომთავრული“ წარმოადგენს ქრისტიანული ეპოქის ძეგლს.

ქართული ანუ იბერიული (ამ სახელით მოიხსენიებენ საქართველოს ძველი ბერძნები და რომაელები) დამწერლობის მაინცადამაინც ელინისტურ ეპოქაში შექმნის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს მისი უცვლელი მოხსენიება ელინისტური ხანიდან ნამემკვიდრევი და III-XVIII საუკუნეების ქრისტიანულ და იუდაისტურ ისტორიოგრაფიაში მუდმივგანმეორებადი ავტორიტეტული და პოპულარული ტოპოსი დამწერლობის მქონე თუ მცოდნე 15 ხალხის შესახებ. ეს ტოპოსი შემონახულია ხალხთა და ენათა ბიბლიური განყოფის ნუსხებში (დიამერიზმებში) და თითქმის უცვლელად მეორდება ბერძნულ, ლათინურ, ებრაულ, სომხურ, არაბულ და სხვ. წყაროებში, „როგორც საყოველთაოდ აღიარებული აქსიომა“ (ნ. დობორჯგინიძე).

ბიბლიური ნოეს ძეთა იაფეტის, ქამისა და სემის შთამომავალი ეს 15 მწიგნობარი ხალხი ასეა განაწილებული ძმათა შორის:

იაფეტიდები: იბერები (ქართველები), ლათინები (რომაელები), ესპანელები, ბერძნები, მიდიელები, სომხები;

ქამიტები: ფინიკიელები, ეგვიპტელები, პამფილიელები, ფრიგიელები;

სემიტები: ებრაელები (იუდეველები), სპარსელები, ქალდეველები, ინდოელები, სირიელები.

ხალხთა და ენათა კლასიფიკაციას, რომელიც ამ ტოპოსშია მოცემული, არანაირი მეცნიერული საფუძველი და ღირებულება რომ არ გააჩნია, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ისტორიულ-შედარებითი მეთოდი,რომლის საშუალებითაც ხდება ენათა ნათესაობის დადგენა, მხოლოდ 1814 წელს შექმნა დანიელმა ენათმეცნიერმა რასმუს რასკმა. სამაგიეროდ მეტისმეტად სანდო და ღირებულია მასში მოწოდებული ინფორმაცია მწიგნობრობის (resp. ანბანის) მქონე 15 ხალხის შესახებ, რადგან ის შემოწმებადი იყო თანამედროვეთა მიერ.

რაც შეეხება საკუთრივ ქართულ ანბანურ დამწერლობას, მის შესახებ ცნობილი გერმანელი მეცნიერი ს. კრაუსი, ჯერ კიდევ 1899 წელს წერდა: „დიამერიზმების ანბანურ დამწერლობათა კატალოგებში იბერიული დამწერლობა არსად არ აკლია და საყურადღებოა ისიც, რომ ბიბლიურ 70 თუ 72 რესპექტულ ენათა 15 დამწერლობას შორის იბერიული ყოველთვის პირველ ადგილასაა ნახსენები... ჩვენ მიერ მიმოხილული წყაროები იმდენად სანდოა, რომ გაუმართლებელი ხდება ყოველგვარი ეჭვი იბერიელთა დამწერლობის ირგვლივ.“

ამჟამად მსოფლიოში რამდენიმე ათეული, გრაფიკულად განსხვავებული, ანბანური დამწერლობა ფუნქციონირებს, მათგან სამი ქართულია.

თანამედროვე საქართველოში გამოიყენება სამივე სახის ქართული ანბანი, მათგან მხედრულის გამოყენების სფერო შეუზღუდავია, ასომთავრულსა და ნუსხურს ძირითადად და ტრადიციულად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იყენებს თავის პრაქტიკაში.

ქართული მხედრული დამწერლობა უნიკალურია მსოფლიო ანბანურ დამწერლობათა სისტემებში. ამისი მტკიცებისთვის არსებობს ობიექტური, გრამატოლოგიური კრიტერიუმი: მხედრული წარმოადგენს ფონოლოგიური დამწერლობის იდეალური ფორმულის „**ერთი ფონემა : ერთი გრაფემა**“ რეალიზაციის ერთადერთ პოვნიერ ნიმუშს კაცობრიობის დამწერლობათა შორის.

ქართული მხედრული დამწერლობა იმთავითვე როდი შეესატყვისებოდა ფონოლოგიურ დამწერლობათა იდეალურ ფორმულას, მხედრული დამწერლობა ასეთად იქცა „ერის მამად“ წოდებული და საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის (1837-1907) მიერ XIX საუკუნის 60-იან წლებში გატარებული ენისა და დამწერლობის ფუნდამენტური რეფორმის შემდეგ, როდესაც მან ხმარებიდან გამოდევნა და ანბანიდან ამოიღო ასო-ნიშნები, რომლებსაც სინქრონიაში რეალური ფონეტიკური შინაარსი აღარ გააჩნდა.

XIX-XX საუკუნეთა განმავლობაში ქართული დამწერლობების ესა თუ ის სახეობა გამოყენებული იყო კავკასიაში სხვადასხვა ენათა მწიგნობრობისათვის, მაგალითად ნუსხური და მხედრული ანბანები იოანე იაღლუზიძის (გაბარათის) მიერ გამოყენებული იყო ოსური ენისათვის XIX საუკუნის ოციან წლებში.

1938-1954 წლებში ქართული მხედრული დამწერლობის გრაფიკულ საფუძველზე აფხაზური და ოსური ენებისთვის შექმნილი ანბანები ოფიციალურად ფუნქციონირებდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ავტონომიებში – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ალავერდის ოთხთავი
ხელნაწერის გვერდი. XI ს.

ჯრუჭის II ოთხთავი
ხელნაწერის გვერდი. XII ს.

უძველეს ქრისტიანულ ქართულ **წარწერებად** მიჩნეულია პალესტინაში იტალიელი ვირ-ჯილიო კორბოს მიერ აღმოჩენილი **წარწერები**, რომელთაგან ერთს ათარიღებენ 429 წლით, მეორეს კი 444 წლით. და ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა (ხანმეტი), რომელსაც ათარიღებენ 493 წლით; ხოლო უძველეს თარიღიან ქრისტიანულ წარწერად მიჩნეულია წყისის ციხეში გიორგი ბოჭორიძის მიერ მიგნებული ჯვრის კვარცხლბეკზე 616/619 წლებში ამოკვეთილი ჰაემეტი წარწერა.

სხვა თვალსაზრისით, უძველეს **წარწერად**, რომელიც შესრულებულია ასომთავრული ანბანით უნდა ჩაითვალოს, აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის (1930-2004) მიერ ელინის-ტური ხანის ნაქალაქარის – ნეკრესის გათხრებისას 1986 წლის 16 აგვისტოს აღმოჩენილი ოთხსტრიქონიანი წარწერა №1, შესრულებული ქვიშაქვაზე, რომალიც, როგორც დადგინდა წარმართული კალენდარი ყოფილა და თარიღდება 81 წლის 24 ივნისით (ნოდარ გაფ-რინდაშვილი). ნეკრესში აღმოჩენილმა მრავალრიცხოვანმა ასომთავრულმა წარწერებმა, რომლებიც თარიღდებიან I-III საუკუნეებით, შექმნეს მთელი კორპუსი ქრისტიანობამდელი ეპიგრაფიკისა და ახალი მნიშვნელობა მიანიჭეს პავლე ინგოროყვას მიერ აღმოჩენილ ასომთავრულ ლიგატურებს ერისთავ ჭარგასის ე.წ. „გამარჯვების სტელაზე“ (I ს.) და ბერცუმ პიტიახშის ლანგარზე (III ს.).

უძველეს ქრისტიანულ ქართულ **ხელნაწერებად** მიჩნეულია ხანმეტი პალიმფსესტები (V-VI ს.), უძველესი თარიღიანი ხელნაწერია ადიშის ოთხთავი გადაწერილი 897 წელს.

პირველი ქართული **ნაბეჭდი** წიგნებია 1629 წელს რომში გამოცემული „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ და „ლექსიკონი ქართული და იტალიური, შედგენილი სტეფანო პაოლინის მიერ, ქართველ ნიკიფორე ირბახის, წმინდა ბასილის (წესის) ბერის დახმარებით – სახმარად სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების მისიონერთა“ (3084 სიტყვა); ორივე წიგნი დაბეჭდილია „პროპაგანდა ფიდეს“ კონგრეგაციის სტამ-ბაში.

ქართული ენის დიალექტები. ბუნებრივი ენა ემპირიაში გვეძლევა არა სხვაგვარად, თუ არა დიალექტების სახით. დიალექტი ენის სისტემის ვარიანტია, გავრცელებული გარკვეულ ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიის მკვიდრთათვის ის წარმოადგენს მათი ტომობრივი იდენტობის რელევანტურ მარკერს ეროვნული ერთობის შიგნით. ცალკეული თანამე-დროვე ქართული დიალექტებისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების კვალი პოვნიერია მკაცრად ნორმირებული ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში გაპარული იშვიათი შეცდომების სახით, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება ხელ-ნაწერთა ავტორის, მთარგმნელისა თუ გადამწერის ტომობრივ-დიალექტური კუთვნილების ამოცნობა, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ თანამედროვე ქართული დიალექტების ისტორია უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს, ვიდრე აქამდე არის მიჩნეული.

თანამედროვე ქართული დიალექტების რამდენიმე მეცნიერული კლასიფიკაცია არსებობს (ა.შანიძის, არნ. ჩიქობავასი, შ.ძიძიგურის, ბ.ჯორბენაძის), რომელთა მიხედვითაც გამოიყოფა 11-დან 17 დიალექტამდე. ქართული ენის დიალექტთა გამოყოფასა და კლასიფიკაციებს სხვადასხვა თვალსაზრისი უდევს საფუძლად (ფონეტიკური, მორფოლოგიური, ლექსიკური,

ტერიტორიული...) წინამდებარე კლასიფიკაცია წარმოადგენს პროფ. ბესარიონ ჯორბენაძისეული კლასიფიკაციის ერთგვარ მოდიფიკაციას:

1. **აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები:**
   1.1. **მთის დიალექტები:**
      1.1.1. ხევსურული
      1.1.2. ფშაური
      1.1.3. თუშური
      1.1.4. მოხევური
      1.1.5. მთიულურ-გუდამაყრული
   1.2. **ბარის დიალექტები:**
      1.2.1. ქართლური
      1.2.2. კახური (ქიზიყურითურთ)
      1.2.3. ინგილოური
      1.2.4. ფერეიდნული
2. **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტები:**
   2.1. მესხური (სამცხურ-ჯავახური)
   2.2. იმერხევული (შავშურ-კლარჯული)
   2.3. ტაოური
3. **დასავლეთ საქართველოს დიალექტები:**
   3.1. **მთის დიალექტი:**
      3.1.1. მთარაჭული
   3.2. **ბარის დიალექტები:**
      3.21. რაჭული
      3.2.2. მარგვული („ზემოიმერული“)
      3.2.3. იმერული („ქვემოიმერული“)
      3.2.4. ლეჩხუმური
      3.2.5. გურული
      3.2.6. აჭარული

ქართული სალიტერატურო ენის ძეგლები. ქართული ქრისტიანობამდელი ლიტერატურის ძეგლებს, ლაპიდარულ წარწერათა და ქრისტიან მემატიანეთა თხზულებებში ჩართული ექსცერპტების გარდა, ჩვენამდე არ მოუღწევია. სამაგიეროდ ქართულ სალიტერატურო ენას ქრისტიანობის შემოღების ხანიდან დღემდე ფუნქციონირების უწყვეტად ფიქსირებული ტრადიცია აქვს.

ქართული ძველი სალიტერატურო ენის, და ქართული სასულიერო მწერლობისა, ისტორიულ-ბიოგრაფიული, თეოლოგიური, იურიდიული თუ სამეცნიერო მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია: „შუშანიკის წამება“ იაკობ ხუცესისა (V ს. მოღწეულია XI ს. ნუსხით), „ჰაბოს წამება“ იოვანე საბანისძისა (VIII ს.), „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“

დავათის ქვასვეტი
აბეცედერიუმი. XI ს.

გიორგი მერჩულისა (951 წ.), „ცხოვრება მეფეთა“ ლეონტი მროველისა (XI ს.), „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ გიორგი მცირისა (1066-1068), „პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი“ გრიგოლ ბაკურიანის ძისა (XI ს.), „გალობანი სინანულისანი“ დავით აღმაშენებლისა (XI-XII ს.), „სიტყვა ართრონთათვის“ არსენ იყალთოელისა (?) (XI–XII ს. გრამატიკული ტრაქტატი), „ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი“ ანონიმი (XII ს.), „განმარტებანი პროკლე დიადოხოსის წიგნისა „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ იოანე პეტრიწისა (XI-XII ს.) და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (XII ს.), ქართული ენისა და ლიტერატურის სწორუპოვარი ძეგლი და მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი შედევრი.

ქართული ძველი თუ ახალი სალიტერატურო ენის წინაშე მისი განვითარებისა და სრულყოფის თვალსაზრისით ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვით მიქაელ მოდრეკილს (X ს.), იოანე მინჩხს (X ს.), ექვთიმე (955-1028) და გიორგი (1009-1065) მთაწმინდელებს (ქართული ოთხთავის კანონიკური რედაქციების მთარგმნელები), ეფრემ მცირეს (XI ს.), სარგის თმოგველს (XII ს. „ვისრამიანის“ მთარგმნელი), მოსე ხონელს (XII ს.), იოანე შავთელს (XII-XIII ს.), ჩახრუხაძეს (XII-XIII ს.), თეიმურაზ I-ს (1589-1663), ნოდარ ციციშვილს (?-1658), სულხან-საბა ორბელიანს (1658-1725), დავით გურამიშვილს (1705-1792), ბესიკს (1750-1791), ნიკოლოზ ბარათაშვილს (1817-1845), ილია ჭავჭავაძეს (1837-1907), აკაკი წერეთელს (1840-1915), იაკობ გოგებაშვილს (1840-1912, „დედა ენის“ ავტორი), ივანე მაჩაბელს (1854-1898, შექსპირის მთარგმნელი), ვასილ ბარნოვს (1856-1934), ვაჟა-ფშაველას (1861-1915), ნიკო ლორთქიფანიძეს (1880-1944), მიხეილ ჯავახიშვილს (1880-1937), გრიგოლ რობაქიძეს (1880-1962), ლეო ქიაჩელს (1984-1963), კონსტანტინე გამსახურდიას (1891-1975), პოლიკარპე კაკაბაძეს (1893-1972), გალაკტიონ ტაბიძეს (1892-1959), ტიციან ტაბიძესა (1895-1937) და ქართველი მოდერნისტი პოეტების კორპორაციას – „ცისფერი ყანწები“, ტერენტი გრანელს (1897-1934), გიორგი ლეონიძეს (1900-1966), სიმონ ჩიქოვანს (1903-1966), ლევან გოთუას (1905-1973), ანა კალანდაძეს (1924-2008) და სხვ. და სხვ.

ქართული ენის ძეგლთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართული ენის ორი განმარტებით ლექსიკონი: სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ (1685-1715), რომელიც უფრო მეტად ცნობილია მისთვის მეფე ვახტანგ VI-ის მიერ შერქმეული სახელით – „სიტყვის კონა“ (ეს ლექსიკონი შეიცავს 20 000-მდე ლექსიკურ ერთეულს) და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, რვა ტომად, რომელიც 1950-1964 წლებში გამოიცა (მთავარი რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა). ლექსიკონი შეიცავს 112 949 სიტყვას. ამჟამად მიმდინარეობს 8-ტომეულის ახალი შევსებული რედაქციის გამოცემა (მთავარი რედაქტორი ავთანდილ არაბული).

არა მარტო ქართული, არამედ ზოგადად ქრისტიანული ლიტერატურის ძეგლთა შორის თავისი უპრეცედენტობით გამოირჩევა ქართული ენის განსაკუთრებული რელიგიური მისიისადმი მიძღვნილი საგალობელი, რომელმაც ჩვენამდე იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწ-

ერილი X საუკუნის ნუსხით მოაღწია და რომელშიც გათვალსაჩინოებულია ქართველთა დამოკიდებულება თავიანთი ეროვნული ენისადმი, ეს საგალობელი უფრო მეტად ცნობილია სახელწოდებით „**ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისა**“, თუმცა უძველეს, ასომთავრულით გადაწერილ, ნუსხაში მას სათაურად აქვს „**ქართულისა ენისათვის**“

ქართულისა ენისათვის

და მარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსლვის მისისა საწამებელად, რამეთუ ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე.

და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან.

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან და ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაჲ.

და მეგობრობაჲ ამისთვის თქვა, რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკვდარი ამისთვის თქვა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ „ათასი წელი – ვითარცა ერთი დღეჲ“.

და სახარებასა შინა ქართულსა, თავსა ხოლო მათეჲსსა, წერილი ზის, რომელ ასოჲ არს. და იტყვის ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა, –

და ესე არს ოთხი დღეჲ, და ოთხისა დღისა მკვდარი, ამისთვის მისთანავე დაფლული სიკვდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა.

და ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული – მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა,

და სასწაულად ესე აქვს: ოთხმეოცდა ათოთხმეტი წელი უმეტეს სხვათა ენათა ქრისტეჲს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხრას, ესე წილი ანბანისაჲ.

ილია ჭავჭავაძე
1837-1907 წ.წ.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ილია II-ის აღსაყდრებიდან 30 და დაბადებიდან 75 წლის საიუბილეო კომისია

ავტორი: მიხეილ ქურდიანი
რედაქტორი: ავთანდილ არაბული
დიზაინი: მაკა ჭიჭინაძე „გრაფიქს დიზაინ ენდ პრინტინგი“
კომპიუტერული მაკეტი: რუსუდან ერისთავი
ფოტო: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა
დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი
გამომცემლობა „არტანუჯი“-ს ფოტო არქივი
ბუბა კუდავა
შალვა ლეჟავა

გარეკანი:
ალავერდის ოთხთავი. ხელნაწერის გვერდის ფრაგმენტი. XII ს.
ალავერდის ოთხთავი. ხელნაწერის გვერდი. XII ს.
პირველი გვერდი:
ალავერდის ოთხთავი. საზედაო ასო. XII ს.

© საქართველოს ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი

ISBN 978-9941-0-0767-5
UDC (უაკ) 811.353.1.+003.334.2 ქ-884